საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 250
28/10/2022

250-2-4-202210281917

საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისთვის კონკურსის „წერე ქართულ კინოზე" გამოცხადებისა და გამარჯვებულთათვის ჯილდოს დაწესების თაობაზე

სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო" და „ტ" ქვეპუნქტებისა და მე-მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.2022 წლის 28 ოქტომბრს გამოცხადდეს კონკურსი საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის „წერე ქართულ კინოზე" დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.
2. დამტკიცდეს კონკურსში „წერე ქართულ კინოზე" მონაწილეობის მსურველთათვის თანდართული განაცხადის ფორმა (დანართი 2).
3.კონკურსის „წერე ქართულ კინოზე" გამარჯვებულთათვის დაწესდეს ჯილდო პირველი, მეორე და მესამე ადგილებისთვის:
ა) პირველი ადგილისთვის ჯილდო – 3000 (სამი ათასი) ლარი.
ბ) მეორე ადგილისთვის ჯილდო – 2000 (ორი ათასი) ლარი.
გ) მესამე ადგილისთვის ჯილდო – 1500 (ათას ხუთასი) ლარი.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი